

შპს „ჯითიეი ტრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	275250	12780	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1242126	647634	3.2
მარაგები	1398943	1337858	3.3
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	43359	18117	3.4
სხვა მოკლევადიანი აქტივები	104778	94655	
ძირითადი საშუალებები	182014	159154	3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები	22634	22634	
გაცემული სესხები	995385	1000048	3.4
სულ აქტივები	4264490	3292880	
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	696328	1210087	3.6
საგადასახადო ვალდებულებები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	516217	254762	3.7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3520133	2083990	3.7
სულ ვალდებულებები	4732678	3548839	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1084244	1084244	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1552432	-1340203	
სულ საკუთარი კაპიტალი	-468188	-255959	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4264490	3292880	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2024 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	9698621	9270987	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8433284)	(8768912)	
საერთო მოგება	1265337	502075	
მიწოდების ხარჯი	(247666)	(189761)	3.8
იჯარის ხარჯი	(87571)	(86847)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(601443)	(592216)	3.9
სულ საოპერაციო ხარჯები	(936680)	(868824)	
საოპერაციო მოგება	328657	(366749)	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	(28166)	184261	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	(332818)	(203361)	3.10
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-32327	-385849	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-32327	-385849	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-32327	-385849	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-255959	88530	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-179902	41359	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-468188	-255959	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2024წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	69247	541957
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1117700)	(6990)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1333700	-576918
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	285247	-41951
სავალუტო კურსის ეფექტი	(22777)	(648)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12780	55379
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	275250	12780

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2024 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯითიეი ტრედი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 406167650. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვ. ივერიელის ქ., N 36-38, ბ. 18, თუმცა მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, რევაზ მამისაშვილის #83.

1.2. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01024011087, ლევან საკანდელიძე	10.00%
01011005607, გიორგი ტალახაძე	10.00%
სააქციო საზოგადოება სს დაკო, 405197781	80.00%
სულ	100.00%

1.3. კომპანიის დირექტორია ლევან საკანდელიძე, (პ.ნ. 01024011087)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ალუმინის სხმულების წარმოება და რეალიზაცია. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები),

რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.6894 ლარი;

1 EUR = 2.9753 ლარი;

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.7020 ლარი;

1 EUR = 2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	275236	11669
ფული საბანკო ანგარიშებზე/ოვერდრაფტი	14	1111
სულ:	275250	12780

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში: სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	1102686	618669
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(82665)	(82665)
გადახდილი ავანსები	209291	111630
მოთხოვნა თანამშრომელთა მიმართ	12815	0
სულ:	1242126	647634

3.3. მარაგები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	1338891	1304475
მზა პროდუქცია	47260	22874
სხვა მარაგები	12792	10509
სულ:	1398943	1337858

კომპანია მარაგებზე აღრიცხავს ალუმინის სხულის საწარმოებლად საჭირო სხვადასხვა ლითონებსა და მარილებს. მზა პროდუქცია კი არის ალუმინის სხმული, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად. ასევე წარმოების შედეგად მიიღება წუნდებული პროდუქცია,

რომელიც ისევ ნედლეულზე აღირიცხება, რდაგნ ხდება მისი ხელახალი გამოყენება წარმოების პროცესში.

3.4. გაცემული სესხები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
12 თვემდე მისაღები	43359	18117
ერთი წლის შემდეგ მისაღები	995385	1000048
სულ:	1038744	1018165

3.5. ძირითადი საშუალებები:

ისტორიული ღირებულება	მანქანა- დანადგარ ები	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	საოფისე აღჭურვი ლობა	სხვა	სულ
1 იანვარი 2022	185,379	26,712	10,787	103,868	326,745
შეძენა	6,217		774		6,990
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2022	191,596	26,712	11,561	103,868	333,736
შეძენა	10,988	38,275	1,648		50,912
ჩამოწერა	(24,453)		2,152	(26,595)	(48,897)
31 დეკემბერი 2023	178,131	64,987	15,360	77,273	335,751
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2022	(86,400)	(30,643)	(7,115)	(32,506)	(156,664)
დარიცხვა	(6,425)	(125)	(1,800)	(9,568)	(17,917)
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2022	(92,825)	(30,768)	(8,914)	(42,074)	(174,581)
დარიცხვა	(6,719)	(106)	(1,549)	(6,690)	(15,064)
ჩამოწერა	35,013	(927)	685	1,138	35,909
31 დეკემბერი 2023	(64,531)	(31,801)	(9,778)	(47,626)	(153,737)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2022	98,978	(3,931)	3,672	71,362	170,081
31 დეკემბერი 2022	98,771	(4,056)	2,646	61,793	159,154
31 დეკემბერი 2023	113,599	33,186	5,582	29,647	182,014

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები	577985	1056923
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	52596	38930
მიღებული ავანსები	16545	114234
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	49203	
სულ:	696328	1210087

3.7. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სს "საქართველოს ბანკი" (მიმდინარე ნაწილი)	192412	249662
სს "საქართველოს ბანკი" (გრძელვადიანი ნაწილი)	1242170	1447834
სს "თიბისი ბანკი" (მიმდინარე ნაწილი)		
სს "თიბისი ბანკი" (გრძელვადიანი ნაწილი)		
სესხი სხვა რეზიდენტი კომპანიისგან (მიმდინარე ნაწილი)	323805	5100
სესხი სხვა რეზიდენტი კომპანიისგან (გრძელვადიანი ნაწილი)	2277963	636156
სესხი რეზიდენტი ფიზიკური პირისგან (მოკლევადიანი)		
სულ:	4036350	2338752

3.8. მიწოდების ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
მარკეტინგული ხარჯი	(20006)	(2102)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	(60555)	(24402)
საბაჟო პროცედურების ხარჯი	(167105)	(163257)
სულ:	(247666)	(189761)

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება	(274332)	(297925)
ცვეთის ხარჯი	(15064)	(17917)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(47228)	(36727)
საკონსულტაციო ხარჯი	(41085)	(48185)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(129522)	(55287)
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	(24100)	(14830)
საგადასახადო ხარჯი	(1816)	(2081)
საბანკო ხარჯი	(15191)	(16819)
მივლინების ხარჯი	(5055)	(2186)
კავშირგაბმულობის ხარჯი	(796)	(3325)
საწვავის ხარჯი	(47254)	(96934)
სულ:	(601443)	(592216)

3.10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი

	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო შემოსავალი	25394	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4140	246
საპროცენტო ხარჯი	(331637)	(202984)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(30715)	(623)
სულ:	(332818)	(203361)

3.11. სასამართლო დავები

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	275250	12780	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1242126	647634	3.2
მარაგები	1398943	1337858	3.3
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	43359	18117	3.4
სხვა მოკლევადიანი აქტივები	104778	94655	
ძირითადი საშუალებები	182014	159154	3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები	22634	22634	
გაცემული სესხები	995385	1000048	3.4
სულ აქტივები	4264490	3292880	
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	696328	1210087	3.6
საგადასახადო ვალდებულებები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	516217	254762	3.7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3520133	2083990	3.7
სულ ვალდებულებები	4732678	3548839	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1084244	1084244	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1552432	-1340203	
სულ საკუთარი კაპიტალი	-468188	-255959	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4264490	3292880	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2024 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები


2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	9698621	9270987	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8433284)	(8768912)	
საერთო მოგება	1265337	502075	
მიწოდების ხარჯი	(247666)	(189761)	3.8
იჯარის ხარჯი	(87571)	(86847)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(601443)	(592216)	3.9
სულ საოპერაციო ხარჯები	(936680)	(868824)	
საოპერაციო მოგება	328657	(366749)	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	(28166)	184261	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	(332818)	(203361)	3.10
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-32327	-385849	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-32327	-385849	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	-32327	-385849	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-255959	88530	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-179902	41359	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-468188	-255959	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2024 წ.

დირექტორი:



ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	69247	541957
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1117700)	(6990)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1333700	-576918
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	285247	-41951
სავალუტო კურსის ეფექტი	(22777)	(648)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12780	55379
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	275250	12780

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 19.12.2024 წ.

დირექტორი: _____



ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.